№ 105 3 ღვინობისთვე, კვირა 1866—1876 3 ღვინობისთვე, კვირა № 105

# დროება

რედაქცია

მელიქიშვილის ქუჩაზე, ბრტყე ჩაიგუშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წლიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცერონი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტი—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

სამი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება თფილისში—გაზეთის რედაქციაში (მელიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგუშტოვის სახლებში, № 6); გარეშე ქალაქებში—„დროების“ აგენტებთან.

ფასი სამის თვის გაზეთისა ე. ი. 1 ოკტომბრიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდინ—2 მან. 50 კაპ. მთელი წლის ნომრები მხოლოთ რამდენიმეა დარჩენილი,—ღირს—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ერთის თვისა—1 მან.

## საქართველო

### ჩვენი შკოლა *)

(მუძღვნი ჩვენ მასწავლებლებს)

(დასასრული)

ამ რამდენიმე სტრიქონის წაკითხვის შემდეგ, მე ვიცი, რომ ზოგიერთი შემომიძახებს—ეს შკოლა რაღა შკოლა იქნებაო. ეს იქნება პატარა ბავშვ-ბიჭების მუშაობაო! სად ივლენ შკოლა ამდენ დროსაო, რომ ესენიც აასრულონ და ჭკუა გონებაც გაუღონასონ და სხვა?

რომ ეს შემოძახება უსაფუძვლო იქნება, მე გეტყვით აქ რამოდენიმე სიტყვას ფიზიკური შრომის საჭიროებაზე და სარგებლობაზე შკოლაში და იმასაც—რა გზით შეუძლიანთ ჩვენ შკოლებსა ამ ზემოთქმული ფიქრის ასრულება, იგრე რომ, დააკლდეს რამე კი არა გონებით შრომას, გონებას, არამედ ხელი მოუმართოს კიდეცა ამ უკანასკნელს.

შევხედოთ ერთი თუნდა სოფელ კახის ინგილოების შკოლებს: თქვენ დაინახავთ ტან-ხმელა, ფერ-მკრთალ, მცონარე, მოკუზულ ბავშვებსა. რისაგან წარმოსდგება ეს? რასაკვირველია, იმ უსაფუძვლო აღზრდისაგან, რომელიც ეძლევა მათ შინ მყოფობის დროს და უმეტესათ იმ უსაქმოებისაგან, რომელშიაც იმყოფებიან უმეცარი მშობლების შვილები.

რა შედეგსა ვნახავთ, რომ ავიყვანოთ ეს ბავშვები და დავსვათ მხოლოდ წიგნზე, ე. ი. დავაყენოთ ისინი მხოლოდ გონებითს შრომაზედ და იმ შედეგსა, რომ ამ გვარი ჩვენი ქცევა დაბადებს მათში ფიზიკურ უძლურებას, გაჩერებს მათ სხეულის ღონეს, რომელნიც თავისი მხრით გაჩერებენ მათ გონებით ღონესაც. პედაგოგიის იდეალი—„მრთელი ჭკუა მრთელს სხეულში“—ნათლათ გვიჩვენებს იმ გზასა, რომელსაც უნდა ვადგეთ ყმაწვილების სწავლაში და აღზრდაში, ე. ი. ფიზიკური და გონებითი შრომა უნდა მიგვყვებოდეს ერთათ.

ამასთან ფიზიკური შრომა ათასნაირია, მაგრამ მასში უკეთესია ჩვენი სახალხო შკოლებისათვის მიწის შემუშავება იმიტომ, რომ ამ გვარ შრომას შეუძლიან გაჰქრევებაში მოუმართოს ჩვენ კაცს ხელი და კიდევ იმიტომ, რომ ამგვარი შრომით ჩვენ ვამყარებთ ფიზიკური ძალის გონებას სარგებლობაზე და არა უმიზეზო ძალის გაღონებაზე, როგორც ზოგიერთები ცდილობენ გაღონონ ეს ფიზიკური ძალა ყმაწვილებში გიმნასტიკით.

ხომ ყველამ ვიცით, რომ ბავშვებს ძლიერ უყვარსთ კალებს გაკეთება ბაღში, დათესვა, დანერგვა. მაგრამ რა გამოდის აქედამ? ისინი მალე სტოვებენ დაწყობილ საქმეს, და სტოვებენ იმიტომ, რომ არ იციან როგორ მოჰკიდონ ხელი, არა ვცდილობთ გავაფართოოთ, გავღონოთ ეს მშვენიერი და სამღრთო დაწყობა ყმაწვილებში. როდესაც ჩვენ მოუმართავდით ხელს ამ გვარ დაწყობაში, ჩვენ ამითვე მოუმართავდით ხელს მათ მოძრაობასაც და მათ ცოცხალი სისხლის მრუნვასაც. მაშინ, მცონარე და ძინარე ბავშვების მაგიერათ, ჩვენ დავინახავდით მხნე და ახოვან ყმაწვილებს. მაშინ გონებითი სწავლაც წავიდოდა მარდათ, რადგანაც სხეულის კარგათ მყოფობას, სიმაგრეს აქვს ძლიერ დიდი ზედ-მოქმედება გონებითს შრომაზე.

ფიზიკური შრომა საჭიროა ჩვენ შკოლებში კიდევ იმიტომ, რომ ის მოჰსპობს ბატონობას, დაახლოვებს თავადსა და აზნაურსა გლეხთან, ჩაუნერგავს იმათაც პატივის-ცემას შუშა ხალხთან და მუშაობასთან.

რამდენია ეხლა ჩვენ საქართველოში იმ გვარი ახალ-გაზდები, რომელთაც არ იციან არავითარი სასარგებლო საქმის წაყვანა, გაკეთება, და რომელნიც ამისა გამო იძულებულნი არიან გაერიონ იმ დასტაში, რომელიც აგრე უმოწყალოთ ჰყვლეფავს მშრომელ და პატიოსან ხალხსა! ხომ ყველამ ვიცით, რომ მომეტებული ნაწილი სახალხო, სამხედრო, სასულიერო, საუეზდო და სხვა შკოლების ყმაწვილებისა აგდებენ სწავლას, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, ნახევარ გზაზე. აბა ერთი მითხარით, რა უნდა გააკეთონ ამ გვარ ყმაწვილებმა?—რასაკვირველია, იმათ უნდა მოეკიდნათ ხელი თავიანთ მამა-პაპების საქმისათვის, ე. ი. შეემუშავათ თავიანთი, ბუნებით სიმდიდრით სავსე, მიწა-წყალი; მაგრამ აბა როგორ, როდესაც ამათაც, როგორც ბავშვებმა, არ იციან—როგორ მოჰკიდონ ამ საქმეს ხელი, არ იციან—რას უნდა მიხედონ ამ საქმეში, არ იციან—რა სახსრებით უმჯობესია მისი შემუშავება და უკანასკნელათ არ არიან პატარაობითვე შეჩვეულნი ამ გვარ შრომას, არა აქვთ ჩანერგული სიყვარული და პატივისცემა ამ გვარ საქმისადმი, იმათ, როგორც იტყვიან, სცხვენიანთ მიწის შემუშავება!

ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, გონივრული ფიზიკური შრომა ერთათ გონებით შრომასთან, არც დაამცირებს ამ უკანასკნელის წარმატებას, არამედ სრულებით არც ...

*) „დროება“, № 104.

## ფელეტონი

### „მაქოობა“

ამ ოცის წლის წინეთ, იმ ხანში ვიყავი, როცა ადამიანი ყმაწვილობიდამ ჭაბუკობაზედ ვადადის; იმ დროს გულია ის მბრძანებელი თავისა.

ზურმუხტ-ოცნებებით შეკაზმული სხვა და სხვა გვარი ფიქრები და მრავალ-გვარი გრძნობები რას არ მოაქმედებინებენ ახალ-გაზდას?! მცირე მიზეზი აღომ-არწევს და მცირევე აჭიანჭველებს გამოუცდელ რაინდს.

მეც ისე მომდიოდა. და ერთხელ, არ ვიცი რამ მომცა მიზეზი, მაგრამ ისე კი გავიმახსოვრე, რომ წმინდის გულით შემდეგი სიტყვები დავამღერე ჩემს ჩანგს:

„მაბრწყინდი, ჩემო კანდელო,
მინათლე ბნელი ღამისა!..
მინათლე, რადგანც დაგირჩა
სინათლე მცირეს ჟამისა!..

—

ჩემი სიცოცხლეც შენსავით
იწვის და თან-და-თან სდნება;
წარსული აღარას მარგებს,
მომავალი მენანება!

—

და მაშ, შენც ჩემო სიცოცხლე,
რადგანც მშორდები ხვალისად,
დღეის დღე მაინც მილხინე,
რომ დრო ვატარო ხალისად!“

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა; ბევრი მითქვამს და ბევრიც დამიწერია; მაგრამ მათგანი მესადღეც აღარ მახსოვს და ეს ერთი, ეს პირველი ლექსი კი, პირველ-სიყვარულივით, სიკვდილამდე დაუვიწყარად დაებეჭდა ამ ჩემს გულს!..

სწორეთ იმ დღიდამვე მიუჰყარი გული ჩვენს ხალხს და დავაკვირდი მის ცხოვრებას, და რა ვნახე? ძველი ნაშთები მიეფარენ; ამოწყდა ის ერთი თაობა, რომელშიაც ძველი სული კიდევ ბჟუტავდა.

საპაზრო ასპარეზზედ დარჩა მხოლოდ ერთი თაობა, რომელსაც ჩვენ „კანცელარიის თაობა“ უნდა ვუწოდოთ. ის თაობა, სარწმუნოებით ფარისეველი და მოქმედებით ღორმუცელი, ჩვენთვის სასიკვდინო იარაღად გადაიქცა. მისი გაძლიერება იმ ზღაპრულ გველ-ვეშაპის გაძლიერებას ემსგავსებოდა, რომელსაც ხალხი, ოდესმე კერპი, ღვთიურ პატივსა სცემდა, ადამიანს მსხვერპლად სწირავდა ყოველ დილა-საღამოს და ის ვეშაპი კი თან-და-თან სუქდებოდა და იქით-აქეთ იქნევდა კუდს ხალხის დასაღუპავად, სანამ წმინდა გიორგიმ არ გააპო ისრით!..

ამ ვეშაპ-დევმის ანუ თაობის დასამარცხებლად გამოვიდა სულ ახალი თაობა, რომელსაც დაარქვეს „სტუდენტობა“.

არ ვიტყვი, რომ უნაკლულოთ ჩაევლოს ამ თაობას, და სრულიადაც დასცემდნენ ვეშაპს, თუ ერთმანეთში კინწლაობა არ გადაჰყოლოდენ. ძირძირით ბევრი მათგანი დიახ ვარგოდნენ, მაგრამ შეერთებულს მოქმედებაში კი, რაზმში, ერთმანეთს ხელს უშლიდენ. ასე რომ შედეგი მათის შრომისა შემდეგს ლექსს გვაგონებს:

„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ჭადის ჩიტი მომკვდარიყო;
მოლა შევიდე, გამხმარიყო,
ძირს ჩამოვდევ, დაპალიყო;
პატარაში არ ჩაეტია,
დიდს ქვაბშიდა არ კმარიყო;
ამას კაცმა ვერ მისჭამა,
ერთის ლუკმაც ცალი იყო!“

მე მგონია, რომ ამასვე იტყვიან კიდევ ოცის წლის შემდეგაც, თუ ჩვენმა ახალ-გაზდობამ რაზმული წესი არ შემოიღო და ერთმანეთთან სხვა გვარი განწყობილება არ იქონია!

თორემ ლევანდელი, ან რაც დღემდი ყოფილა, ისიც კიდევ ერთს ზღაპარს გვაგონებს: ერთი დედოფალი რომ სარკეს ეკითხებოდა ხოლმე.

— სარკევ! მე ვჯობივარ, მზე თუ მთვარე?

— შენც კარგი ხარ, მზეც კარგია და მთვარეც, მაგრამ ეთერი კი ყველასა გჯობსთო! მიუგებდა ხოლმე სარკე.

დედოფალი შეშფოთებული მიაგდებდა ხოლმე სარკეს და, ეთერისადმი შურით აღძრული, მის ლანძღვას უნდებოდა და პირუბანელი კი რჩებოდა...

არა, მე კი სწორეთ იმ აზრზედ ვადგევარ, რომ ერთად ვისთანმე საზოგადო საქმეში შრომა ჯერ-ჯერობით შეუძლებელი და მოუხერხებელი ყოფილა ჩვენში. ისევ ცალკერძოთ და ისევ დაფარულად, სიფრთხილით სხვებისაგან! რაზმიდამ და ამხანაგობიდამ მშვიდობით! ვნახოთ, „რა გამოვა რისაგან.“ მე კი მივჯდები განზედ, უკეთეს დრომდე, და ვიღიღინებ ჩემთვის ამას:

„პირადათ ხმას არვის გავსცემ,
გინდა მღანძღოს, გინდა მაქოს!.
უსამართლოთ თუ რამე სთქვეს,
მე გავაგდებ მაშინ მაქოს!

—

რომ მეტყვიან: „ჰა ვკეთდებით,
ჩვენი ბანკი გაუხსნიათ!“
მე გავაგდებ მაშინ მაქოს,
ვიტყვი: „ჯერ ვერ შეუტყვიათ!!“

—

„„ივერიას“ გამოსცემენ,
მტერს ეხვდება გულში ტყვიათ!“
მე გავაგდებ მაშინ მაქოს,
ვიტყვი: „ჯერ არ შეუტყვიათ!“

—

რომ მეტყვიან: „ის კაცებსა
კარგი საქმე დაუწყვიათ!“
მე გავაგდებ ჩემსა მაქოს,
ვიტყვი: „ჯერ ვერ შეუტყვიათ!“

—

რასაც კი რომ გავიგონებ,
ჭკუაში არ მოსასვლელსა,
ვიტყვი: „ჯერ ვერ შეუტყვიათ!“
და ჩემს მაქოს ვსტაცებ ხელსა.

—

მაგრამ, როცა გაიგებენ
და მოხვდებათ გულში ტყვიათ,
მაშინ მაქოს გამოვაგდებ,
ვიტყვი: „ახლა შეუტყვიათ!“

აკაკი

კი შეიძლება უამისოთ წესიერათ ბავშვების აღზრდა.

მაშ იგრე საჭიროა, რომ ჩვენ შკოლებში გონებითი შრომა მიდიოდეს ერთად ფიზიკურ შრომასთან.

ახლა როგორ?

ამ ფიქრის აღსრულება ადვილათ შეიძლება ამ ჟამათ იმ სახალხო შკოლებში, რომლებშიაც იმყოფება სამოცზე მეტი შაგირდი და მაშასადამე, რომელშიაც უნდა იყოს არა ერთი მასწავლებელი, არამედ ორი: თვითონ მასწავლებელი და მისი თანაშემწე. ამ ჟამათ ჩვენი შკოლების მასწავლებელს აძლევენ იმ გვარ თანაშემწეებს, რომელთაც იციან ცოტათი კარგათ კითხვა-წერა, არითმეტიკა და სხვა, მაგრამ რომელთაც არ იციან სამეურნეო საქმე—მებაღობა, მებოსტნობა, მეფუტკრობა, ტყის საქმე და სხვა.

ამ გვარი თანაშემწეს მაგიერათ, იმავე ჯამაგირით ადვილათ შეიძლება დაიჭირონ ისეთი ვინმე, რომელსაც დაუსრულებია რომელიმე აგრონომიული შკოლა და რომელსაც მაშასადამე ესმის მებაღობა, მებოსტნობა, მეფუტკრობა და სხვ.... როდესაც შკოლას ეყოლება კარგი მასწავლებელი და ამ გვარი თანაშემწე—აგრონომი, მას მოუნდება მეტი ხარჯი მხოლოდ სამეურნეო იარაღების ყიდვაზე, რომელიც ძვირად არ დაუჯდება შკოლას, მაგრამ კი გაუკეთებს დიდს და ძლიერ სასარგებლო საქმეს.

ვსთქვათ რომ შკოლაში, სადაც არის ამ გვარი ორი მასწავლებელი, სწავლობს სამოცი შაგირდი, რომელნიც გაყოფილნი არიან სამ განყოფილებათ—პირველი, მეორე, მესამე. მესამე განყოფილების შაგირდებისათვის, სადაც იმყოფებიან უფროსი შაგირდები, საკმარისი იქნება ისწავლონ კლასში, ე. ი. აღგნენ გონებითა შრომას ოთხი საათი, და ერთი საათი ფიზიკურ შრომას, დღეში. მეორე და პირველი განყოფილებისათვის, რომელშიაც იმყოფებიან უმცროსი შაგირდები, საკმარისი იქნება სამი საათის სწავლა კლასში და ორი საათი ფიზიკური შრომა დღეში.

ვსთქვათ, ორშაბათია. ყმაწვილები შეიყარნენ დილით შკოლაში და იწყობენ სწავლას.

**პირველ** გაკვეთილზე მასწავლებელი ასწავლის კლასში მხოლოდ პირველ და მეორე განყოფილებას; მესამე განყოფილებას კი ასწავლის ზემოთქმულ სამეურნეო საქმეებს საშკოლო მიწაში თანაშემწე.

**მეორე** გაკვეთილზე მასწავლებელი ასწავლის კლასში მეორე და მესამე განყოფილებას; პირველ განყოფილებას კი ასწავლის თანაშემწე ისევ სამეურნეო საქმეებს.

**მესამე** გაკვეთილზე მასწავლებელი ასწავლის კლასში პირველ და მესამე განყოფილებას; მეორეს კი ასწავლის თანაშემწე ისევ ზემოთქმულ სამეურნეო საქმეს.

**მეოთხე** გაკვეთილზე მასწავლებელი ასწავლის მხოლოდ მეორე და მესამე განყოფილებას; პირველ განყოფილებას კი ასწავლის ხელ-მეორეთ თანაშემწე.

**მეხუთე** გაკვეთილზე მასწავლებელი ასწავლის პირველ და მესამე განყოფილებას; მეორეს კი ხელმეორეთ ასწავლის თანაშემწე. ერთი სიტყვით, გამოდის შემდეგი გაკვეთილების რიცხვი და რიგი:

საათი. I განყოფილება.
1. კლასში სწავლა
2. სამეურნეო საქმის სწავლა
3. კლასში სწავლა
4. სამეურნეო საქმის სწავლა
5. კლასში სწავლა.

—

II განყოფილება.
კლასში სწავლა
კლასში სწავლა
სამეურნეო საქმის სწავლა
კლასში სწავლა
სამეურნეო საქმის სწავლა.

—

III განყოფილება.
სამეურნეო საქმის სწავლა
კლასში სწავლა
კლასში სწავლა
კლასში სწავლა
კლასში სწავლა.

ეგრე, ჩვენს შკოლებში ადვილათ შეიძლება თანასწორათ წავიყვანოთ გონებითი და ფიზიკური აღზრდა ბავშვებისა და გავაკეთოთ ის საქმეები, რომელზედაც მე ვსთქვი ზემოთა. სოფლის გამშვენიერება და საწყალი სოფლელებისათვის ხელის მომართვა შეუძლიანთ მასწავლებლებს შაგირდებით კვირაობით და სხვა დღესასწაულებში, ლოცვის მოსმენის შემდეგ. ამ დღეებში შეიძლება, რომ ყმაწვილებმა მასწავლებლებით შესწირონ ორი-სამი საათი საზოგადო საქმესა.

ვისურვებთ, რომ ამ გვარად შკოლის დაყენება და წაყვანა არ დარჩეს „უდაბნოში ხმა ღაღადებელათ“ და ვისიც ჯერია მიაქციონ ყურადღება ამ ჟამათვე, რადგანაც ახლა ის დროა, როდესაც შკოლებმა უნდა დაიწყონ თავიანთი ერცელი მოქმედება!

მასწავლებელი ი. რუსტამაშვილი

---

## დღიური

—

დიდ ძალი ხალხი იყო გუშინ-წინ, 1 ოქტომბერს, მცხეთობაზედ. ბევრი ქალაქელები და კიდევ უფრო მომეტებული სხვა და სხვა სოფლებიდამ მოსულები. ბევრი იქეიფეს, დროება გაატარეს და კიდეც ილოცეს ძველის ტაძრის წინაშე. ხორციც დააკმაყოფილეს და სულიცა.

ძველი, მამა-პაპური დროს გატარება, ღვინის სმისა და ზურნის გარდა, მხოლოთ ერთიღა იყო: ჭიდაობა. მაგრამ კაი ჭიდაობა კი იყო. რამდენიმე წყვილი ქალაქელი და სოფლელი დაეჭიდეს. კარგი საყურებელია: კაი ჭიდაობა, თუ მარჯვე ბიჭები არიან მოჭიდავენი: ჯერ ჯარასავით უტრიალებენ ერთმანეთს, თუ სად და როგორ ჩაავლონ ხელი ჩემს მოწინააღმდეგესო. ერთხელ სცადა, ხელი წაუცდა ან დამპალი ჩოხა ხელში შერჩა; მეორეჯერ სცადა, არ იქნა, ვერ მოავლო მარჯვედ. ეცრად, ერთის თვალის დახამხამებაში ჰხედავ, რომ ერთი მოჭიდავეთაგანი ეძგერა, წაავლო მეორეს ხელი მკლავებში, გაწია და სანამ გონზე მოხვიდოდე, თუ რა არისო, მეორეს ფეხები მაღლა აუშვერია და ზევიდამ მობრძანდება, ძირს იშხლართება!...

ექვსჯერ იყო ჭიდაობა და თითქმის ექვსივეჯერ ქალაქის ბიჭებმა დასცეს სოფლელები; არც გასაკვირველია: ქალაქის ბიჭი ხუთი წლიდამ დაწყობილი მუშტი-კრივსა და ჭიდაობას ეჩვევა; სოფლელი კი რა! დღე და ღამე გუთანს ეჭიდება! თავის სანუგეშოთ სოფლელები ამბობდნენ, რომ რაც კაი მოჭიდავე ბიჭები (მეტივეები) გვყვანდა, სულ წავიდნენო, თორემ ჩვენ ვიცით, ვინ დარჩებოდა გამარჯვებულიო...

რკინის გზაზე დიდი უწესოება: ჩხუბი, ვიწროობა და უთაობა; ნახევარი ხალხი ფეხზე იდგა, ბილეთები გაეყიდნათ და დასაჯდომი ადგილი კი არ ჰქონდათ.

*
* *

ხვალ, 4 ოქტომბერს, ვაიხსნება ჩვენი ქალაქის გამგეობის სხდომები. მთელი ზაფხულის განმავალობაში გამგეობას სხდომები არ ჰქონია; ამის უმთავრესი მიზეზი, როგორც „ტფილისის მოამბე“ გვაცნობებს, ის გარემოება ყოფილა, რომ მებელის ოსტატს ახლად შეკვეთილი მებელი სხდომის ზალისა თავის დროზე ვერ მოუსწრია. მაგიერად, იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხმოვანნი ამ ზამთარ ერთი-ორად უფრო ერთგულადა და ენერგიულად იმუშავებენ და მით გაამართლებენ თავიანთ ამომრჩევლების ნდობასა და მოლოდინს.

*
* *

ქუკიის ერთი მცხოვრებთაგანი გვწერს შემდეგს:

„უფ. რედაქტორო! საყურადღებოა, რომ ერთი ჩვენი ქუჩის ნაჭერი აქამდის ქვით მოუფენელია, მაშინ როდესაც მის გარეშემო ყველა ქუჩები კიდეც დაგვავიწყდა—როდის მოფინეს. ეს ქუჩა გახლავთ ქუკიაში, ნიკოლაევის ქუჩის ნაჭერი, უფ. ისე სულხანოვის სახლიდამ მოყოლებული, ვიდრე ავჭალის ქუჩის შერთვამდის.

„ამ ნაჭრის ასე დაგდებას ზოგიერთი ბოროტი ენები იმას მიაწერენ, რომ იმის ორი-მესამედი მანძილი უფ. ი. მ. მირზოაშვილის ცარიელს ადგილს უჭირავსო, ქალაქის გამგეობა ხათრს უწევს ამ ჩვენს გამოჩენილს მდიდარსო და ამის გამო არ აწუხებს ამისთანა წვრიმალ საქმისთვისაო!...“

*
* *

დღევანდელი ნომრის მეოთხე გვერდზე, განცხადებათა განყოფილებაში, იბეჭდება ნაფარეულის გამსესხებელ-შემნახველ ბანკის ანგარიში; როგორც ნახავთ, ეს ბანკი ერთობ ღარიბი და უფულო ყოფილა. ერთი დამაარსებელთაგანი გვწერს, რომ პრიკაზში თხოვნა შევიტანეთ და ფულის სესხობა ვითხოვეთო; მაგრამ ჯერ არაფერი პასუხი არ მიგვიღიაო. მგონი, ვერც მიიღებენ, რადგან, რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამ გვარ შემთხვევებში პრიკაზი კი არა, რომელიც ახლა თავის პირ-და-პირ დანიშნულებასაც ველარ ასრულებს, სახელმწიფო ბანკის განყოფილებაა ვალდებული, რომ სოფლის ბანკებს ხელი მოუმართოს.

*
* *

წლევანდელისთანა კარგი ღვინის მოსავალი ეს ოც-და-ხუთი წელიწადი იქნება (ერთის სიტყვით, მას აქეთ რაც პირველად „ნაცარი“ გვესტუმრა) ჩვენში არ ყოფილაო, ასე გვწერენ იმერეთიდამ და სამეგრელოდამ. იმდენი ღვინო მოგვივიდაო, რომ ძველი, მიგდებული ქვევრები საძებრად შეგვექნა და კიდევ არ გვეყოვო. მაგიერად სიმინდისა და ღომის მოსავალი კი ბევრგან ძალიან სუსტი ყოფილა.

შულავერიდამაც კარგ ყურძნის მოსავალს გვწერენ წელს.

*
* *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის გამგებელი უფ. ზ. ლოლაბერიძე, რომელიც პეტერბურღში იყო გირაოს ფურცლების საქმის გასარიგებლად, ამ დღეებში დაბრუნებულა, და თვითონ ზემოხსენებული ბანკიც 10 ოქტომბერს გაიხსნებაო.

*
* *

მირზაანის შკოლის მასწავლებლისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი შენიშვნა ქიზიყის კორრესპონდენციის თაობაზე:

„დროების“ № 97-ში მე წავიკითხე, სხვათა შორის, უ. ბოდბელის კორრესპონდენციის ბოლოში შენიშვნა მირზაანის სასოფლო შკოლაზე. ისა სწერს:

„როდესაც შკოლებს ვშინჯავდით, სოფ. მირზაანის შკოლაში შევხვდი გამომძიებელს ჩამომხდარს თავის ჩაფრებით. შკოლის ოთახში აქა-იქა კუთხეებში ეყარა ნ. ბარათაშვილის ახლად გამოცემული თხზულებები. სტოლზედ კანცელარიის დავთრები ეყარა და მათრახები ნაბდის და ბუხრის ქუდებთან. შკოლის მოაჯირზედ ცხენები იყვნენ გამობმულნი. შკოლაში ჩაფრებს და გამომძიებელს ბ. ნ. ეძინათ. მაზნევარია თუ სასარგებლო შკოლის განყობილობისათვის ამ გვარად სასოფლო კანცელარიების გამომძიებლების კამანდების შკოლების ოთახებში ჩაყენება? ამაში სასარგებლო არა ჩანს-რა; იქნება მასწავლებელი და მისი ხელმძღვანელი სასიამოვნოთ ჰთვლიდეს ამგვარ გამომძიებლების ყოფასა?“

„ამ სიტყვების წინააღდეგის თქმა არ შეიძლება, რადგან ყველაფერი, რაც აქ არის მოხსენებული, მართალია. მართალია, არ არის სასიამოვნო ამისთანა საქმეები არც მასწავლებლისათვის, არც მისი ხელმძღვანელისათვის და არც არის შესაფერი შკოლის გაწყობილობისათვის.

„მაგრამ, რომ ეს ჩემს უთავრიგობას არ მიაწერონ, საჭიროთ ვსთვლი მოგახსენოთ შემდეგი: მოგეხსენებათ, ნათქვამია ქართული ანდაზა: „უპატრონო ეკკლესიას ეშმაკები დეესიაო.“ სანამ მე შკოლაში ვიყავ და მქონდა მეცადინობა შაგირდებთან, ჩემთან არც გამომძიებელი მოსულა ვინმე უსაქმოთ და არც ჩაფარი. როდესაც მოვიდა დრო შაგირდების დათხოვნისა, მაშინ მე, როგორც სოფლის უფროსს, მამასახლისს ჩავაბარე

შკოლაც და ყოველივე მისი სამკაულობაც. მე იმათ ვენდე; და რას გავიგებდი, თუნდ კამეჩები შეერეკნათ შკოლაში?“

## „დროების“ კორრესპონდენცია

### მწარე მდგომარეობა

**ზემო-ქართლი, 21 სექტემბერს.** (დასასრული). ზემოთ რომ ვიანგარიშეთ, რომ მეტი ხარჯი ბა გლეხსა 44 მანეთი, ამასაც ვერ შოულობს ტყიდან, და ამიტომ არის მუდამ ვალში დალუპული; შრომობს, ოფლსა ღვრის და ვერ გამოდის სიღარიბიდამ და დიდი ვალიდამ.

გამოუვარდა წელიწადი, როგორც წლევანდელი, რომ ქერი ნახულიც არ მოუვიდა, და ველარ გაისტუმრა ვალი; მიდის მოვალე, თავისა და სარგებელსა ერთად უანგარიშებს — თავნად, და მომავალ წლისათვის უანგარიშებს კიდევ სარგებელსა. ვსთქვათ, მაგალითად, გლეხმა თავის ოჯახის გამართვისთვის ისესხა ხუთი თუმანი, თუმცა, რასაკვირველია, არ ეყოფა. სარგებელი უნდა მისცეს თუმანზე — ერთი აბაზი, ესე იგი თვეში ერთი მანეთი; ფულებს სესხულობს ურიისაგან ან სომხისაგან. წელიწადი გადის; წასული წლისა თავნი და სარგებელი და მომავალის წლის სარგებელი რომ იანგარიშება, თავნად იწერება — სულ შვიდი თუმანი და ოთხი მანეთი. იმ ვადამდინ ან მოუკვდა ვინმე, ან შეემთხვა რამე, რომ ვერც მაშინ გაისტუმრა ვალი; მაგ 74 მანეთს თვეში მოვალემ შვიდი აბაზი უანგარიშა და დააწერა წლამდინ — ცხრა თუმანი და ოთხი აბაზი. სამ წელიწადში ეს ხუთი თუმანი, წარმოიდგინეთ, შეიქმა ერთი-ორად, და ამავე ანგარიშით, ყოველ წელიწადს იზდება და იზდება, და ულმობელ ურიივით, ყელში უჭერს კაცსა! მოისაზრეთ ახლა, რომ ჩვენი ქართველი გლეხი-კაცი ყოველ წელიწადს, ყოველ დღე და ყოველ წამს — არის ამისთანა მწარე და უბედურ ყოფა-ცხოვრებაში და მდგომარეობაში!

*

ახლა ამას სახელმწიფო სამსახურიც დაუმატოთ?! გლეხი გამოდის ბეგრით, ფოშტის ფულით. მარტოხელი გლეხი კაცი, ერთ ურემა ხარის პატრონი, ფოშტის ფულს აძლევს ექვს მანეთსა და ორს შაურს წელიწადში. წელიწადში ბეგარაში გადის, ვსთქვათ, ოთხჯერ — და რატომ ათჯერ არ? თითო ბეგარაში გასვლას სცდება თვითონ კაცი და ურემი ხარიც სამდღეს, ესე იგი, წელიწადში თორმეტჯერ. თითო ბეგარაში გასვლისათვის ხარჯი აქვს ხარების დაჭედვას უნდება, ურმის გამართვა, საკვების ყიდვა.

ახლა, ნუ დაივიწყებთ, რომ ამ გლეხს, მაგ ზე-მოხსენებულს ხარჯს გარდა — აქვს: ქორწილი, ძეობა, ნათლობა, კაი დღე, საუფლო დღეში მეტი ხარჯი, სტუმარი, მგზავრობა, ყლაპი — ყლუპიც გამწარებულ გულზე. ახლა, მაგას გარდა, პატივიცი უნდა ჰსცეს გლეხმა, სხვა და სხვა ჩინოვნიკებს პოლიციისას, ლესნიჩია, პასრედნიკსა, პრისტავს, მებატონესაც და სხვა მრავალ უდროვო მწეულებს.

ამ ხარჯს გარდა, გლეხმა ყოველ წელიწადს ფული უნდა აძლიოს შეშაში, სხვა ტყის მასალაში, ესე იგი, კიდევ თუმან-ნახევრამდინ. ისევ ტყიდან შოულობს ამ ფულსა! ისევ იმ დარდუბალა ტყიდამ! ამისთანა კაცი ურმელა ხარითა წელიწადში გამოიტანს ოთხ ტივსა, რომლიდამაც რჩება საკუთრად წმინდა მოგება — თერამეტი მანეთი და ოთხი აბაზი! აქედამ ისტუმრებს მაგ უზომო ხარჯს და რაც დააკლდება, თუ თავის ჯაფით ვერ მოახერხა, უნდა ისესხოს; და საკუთარი თავი, ცოლი, შვილი, დედა, და, ოჯახი, თავისი მცირე ქონება — უნდა დაურიგოს ულმერთო ფულის გამსესხებელს, ურიას თუ სხვას, რომელიც გლეხის კარს არ შორდება და ოფლს აღვრევინებს, სისხლსა და მისი სისხლის ცვარს ფულად აქცევინებს და თავის ჯიბეს იტენს!

აი, ამისთანა უბედურ, მწარე, ჩაშხამებულ მდგომარეობაში არის ყოველი გლეხი ჩვენ მხარეში. ხუთს კომლში იპოვება ერთი გლეხი, რომელსაც ჰქონდეს საკუთარ ნაშრომი ფული და არ იმყოფებოდეს მაგ გვარ უბედურობაში. სხვანი კი თქვენს მტერს ნუ დამართვია ისე, როგორც ამათ ემართებათ!

*

ყოველმა თავადმა, ყოველმა აზნაურმა, ვისიც მამულში კი სდგანან ეს გლეხები — ძალიან კარგათ იციან მაგათი მდგომარეობა — და რას იზმონენ? — ვერაფრის ღონის-ძიებით ვერ უშველიან გლეხებს იმიტომ, რომ თვითონვე არა აქვსთ იმგვარი შეძლება და ღონის-ძიება; თვითონაც არიან უზომო ვალში დალუპულნი და ბანკის პრიკაზი ულმობლად აწვება კისერზე ამ კეთილშობილ ხალხსა და თუ მაგათა ყოველ წელიწადს ვერ შეიტანეს პრიკაზის ვალის სარგებელი, პრიკაზი ურმის ანდებარივით აწვება სათითაოთა. მაგათი მდგომარეობა თვითან გლეხებმაც იციან და ამიტომაც მაგათ არ მიჰმართვენ ხოლმე; და მხოლოთ ამ მიზეზით, მეტი რა ღონე აქვთ, შეჩვეულნი არიან გლეხები თავის ჩაშხამებულ მდგომარეობასთან და ერთი-ერთმანეთს, თუმცა იშვიათად, მაგრამ ხელს უმართვენ ხოლმე მძიმე ტვირთ ქვეშ, ყევარ საქონლივით, და ისე არიან ამ წუთის სოფელში.

## უცხო ქვეყნები

**ომის ამბავი.** ამ სამი დღის განმავალობაში დიდად საყურადღებო ამბები მოვიდა ომიანობის თაობაზე. გუშინწინ მოსულმა დეპეშამ შეგვატყობინა, თითქო გაუჭრია ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებს: სტამბოლში უწარჩინებულესი პირების (120 კაცის) კრება მოუხდენია მთავრობას ახლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და განსაკუთრებით მორიგების თაობაზე მოსალაპარაკებლად და ამ კრებას გადაუწყვეტია, რომ ამ ზამთარ, ექვსი თვის განმავალობაში, (მომავალ მარტის დამლევამდინ) ბრძოლა შესწყდესო.

ეს გადაწყვეტილება ოსმალოს მინისტრთ რჩევას ევროპის უმთავრეს სახელმწიფოების წარმომადგენლებისათვის წარუდგენიათ სტამბოლს და ბევრს იმედი მიეცა, რომ ამ ზამთარს მაინც ომიანობას აღარ უნდა მოველოდეთო.

მაგრამ, როგორც სჩანს, ასე ადვილად არ გათავდება ეს აყალ-მაყალი. საქმე იმაშია, რომ ერთი მხრით, ამ გვარს მორიგებაზე და ომიანობის მოსპობაზე ოსმალოს ხალხი და განსაკუთრებით მოლლები და ულემები, რომელთაც იქ დიდი ძალა და გავლენა აქესთ, ძალიან უარს ამბობენ თურმე, და მეორეს მხრით, როგორც დეპეშა ამბობს, სერბიის მთავრობაც არ დათანხმებულა ექვსი თვით მორიგებას, რადგან ამ გვარი „დროებითი მორიგება“ უფრო ოსმალებისთვის იქნება სასარგებლო, ვინემ ჩვენთვისო; ჩვენ თანახმა ვართ, ერთის თვის ვადით მოხდეს ომიანობის შეწყვეტაო.

—

**ინგლისი.** მას აქეთ, რაც ერთმა ინგლისურ გაზეთის კორრესპონდენტმა პირველად გამოამჟღავნა ის ხალხის ხოცვა და ჟლეტა, რაც ოსმალოებმა ბოლგარიაში ჩაიდინეს, თითქმის დღე არ გადის, რომ ხან ერთსა და ხან მეორე ქალაქში მიტინგები არ მოხდეს და ორატორებმა თავის თანაგრძნობა არ განუცხადონ მებრძოლ სლავიანებსა.

ამ გარემოებით ისარგებლა ინგლისის ახლანდელ სამინისტროს მოწინააღმდეგე პარტიამ და განკიცხვას უცხადებს ოსმალოს მხრის დაჭერისათვის: გლადსტონი და საზოგადოთ ვიგის პარტიის მოთავენი პირ-და-პირ ამბობენ ამ მიტინგებზე, რომ ყველა ეს ოსმალოების ბარბაროსული მოქმედება სულ ჩვენი მართებლობის (დიზრაელის) ბრალი არისო; ჩვენი მმართებლობის იმედი რომ არა ჰქონოდა, ოსმალო ამგვარ საქმეების ჩადენას ვერ გაბედავდაო; ბოლგარიის მსხვერპლთა, ქრისტიანთა სისხლი ჩვენ მოგვეკითხებაო და სხვა.

ეს მოძრაობა ახლა ისე გაძლიერდა, რომ თითქმის მთელი ინგლისის საზოგადო ჰაზრი სლავიანებს თანაუგრძნობს და იმედი აქვთ, რომ ახლანდელი სამინისტრო მალე გამოიცვლება და იმის ადგილს გლადსტონის სამინისტრო იქნება დაყენებულიო.

—

**საფრანგეთი.** გასულ ენკენისთვის 18-ს საფრანგეთის ექვს დეპარტამენტში დამატებითი კენჭის-ყრა იყო ნაციონალურ კრების დეპუტატების ამოსარჩევად. ექვსში ოთხი რესპუბლიკელი ამოერჩიეათ და ორი ბონაპარტიელი. შესანიშნავია, რომ ამ კენჭის ყრამ ახლა ასე ჩუმად, წყნარად ჩაიარა. თვით საფრანგეთშიაც ბევრი ლაპარაკი და მოძრაობა არ ყოფილა ამის თაობაზე. ერთი ფრანცუზული გაზეთი ამ გარემოებას იმით ჰხსნის, რომ ახლანდელს ნაციონალურს კრებაში მომეტებული ნაწილი რესპუბლიკელები არიანო, მკვიდრი მმართებლობის ფორმა და კონსტიტუცია დამყარდა ჩვენშიო და ამის გამო ერთი-ორი დეპუტატის ამორჩევას მაინცა-და-მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, გინდ რესპუბლიკელი აირჩიოს ხალხმა და გინდ მონარხიელიო; რესპუბლიკა მაინც შეურყეველი დარჩებაო.

— 18 ოქტომბერს ხელ-ახლად შეიკრიბება ვერსალში საფრანგეთის ნაციონალური (დეპუტატების) კრება და სენატი.

—

**სპარსეთი.** ერთს პეტერბურღის გაზეთში დაბეჭდილია თავრიზიდამ მიღებული ამბავი, რომ მართებლობამ განკარგულება მოახდინაო, რომ ოსმალოს სამზღვარზე დაბანაკებული ჯარები საომრად იყვნენო.

## ნარევი

იმ „ისტორიული არაკის“ თაობაზე, რომელიც „დროების“ მე-93 №-ში იყო დაბეჭდილი, ეს შენიშნვა მოგვივიდა ჩვენ უფ. მაჭახელაძისაგან პარიჟიდამ:

„იტალიელ კაპუცინსა, ლამბერტსა, რომელიც სამეგრელოში იყო მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში და რომელმაც ორი ძვირფასი თხზულება დასტოვა სამეგრელოზე: Relazione della Colclide 1654 წ. და Colclide sacra, 1657 წ., აი როგორ მოჰყავს ამ თავის პირველ თხზულებაში ეს არაკი:

„როცა მეფე ძლიერ დასუსტდა, გარეშე მტრების გამო, დადიანმა იფიქრა გამთავრება, რადგანაც მანამდისინ მხოლოდ მეფის ერისთავი იყო სამეგრელოში. მაგრამ, სანამ ამ თავის ფიქრს შეასრულებდა, აი რა მოხდა:

„მეფეს მეჯლიშში დადიანს გვერდით უჯდა ათაბეგი, რომელსაც პურადობის სახელი ჰქონდა განთქმული. როცა დადიანს თასი მიართვეს ფულების ჩასაყრელად, მან ათაბეგს ჰკითხა, რამდენი ჩაეგდო თასის მომრთმევისათვის. ამან უპასუხა:

„— რამდენიც შენ გენებოს.

„— შენ რამდენის ჩაგდებას აპირებ? —

„— მე ასს მანეთს ჩავუგდებო, უპასუხა ათაბეგმა.

„აიღო დადიანმა და ჩააგდო მისგან ლვინით გამოცლილ თასში 100 მაშინდელი მანეთი.

„მერმე მიართვეს თასი ათაბეგს, რომელმაც, ასის მაგიერ, ათასი მანეთი ჩააგდო. დადიანს ეს ეწყინა, წამოხტა და თავის სატევრით ათაბეგს წვერი შეაჭრა.

„რამდენიმე ხნის შემდეგ, დადიანი ირემს ჰსდევდა. ამის გამო იგი მოხდა ათაბეგის მამულში, რომლის მოსამსახურებმა დადიანი დაიჭირეს და მიუყვანეს თავიანთ ბატონს. ათაბეგმა დადიანი დაამწყვდია.

„ერთს დროს, როცა ათაბეგი მივიდა დადიანთან სამუსაიფოდ, ამ უკანასკნელმა უთხრა მას თავის განზრახვა — მეფისგან განთავისუფლებისა და ურჩია ათაბეგს, რომ ამანაც დაეხსნას მეფის მორჩილებას. მათ დაიწყეს ერთად ამის საშუალებების ძებნა. ამის შედეგი ის იყო, რომ დადიანი სამეგრელოს დამოუკიდებელი მთავარი გახდა და ათაბეგმა თავის სამცხე-საათაბაგოში დაიწყო სრული ბატონობა. ხან ერთი და ხან მეორე მეფეს ხშირად ომს უწევდნენ.

„ეგრე მოუთხრობდა ამ ამბავსა ხალხი მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში.“

# განცხადებანი

თფილისიდამ 80 ვერსზე ისყიდება მიწები გეზავის მემკვიდრეებისა, აღრინდელი თ. ორბელიანისა. მიწის სივრცე 9 ათას დესიატინამდინ იქნება და გასაყიდ მიწებში არის: ტყე, სათიბი, საზალახე და სახნავ-სათესი. ნაჭერ-ნაჭრად ის ყიდება. ფასისა და პირობების შეტყობა „მარსელის" სასტუმროში შეიძლება უფ. ა. ნ. გონჩაროვისაგან.

(3—1)

**გამოვიდა და ისყიდება**

თფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე სხვა ქალაქებშიაც

**ქართული**

## ანდაზები

გამოცემული ნ. ბარათაშვილისა და ანტონოვის გამომცემელთ წრისაგან. ფასი ორი შაური.

(3—1)

გამოვიდა და ისყიდება პოემა

## „არანჟა"

**ჰერცოგოვინელი ქალი**

თხზულება გ. წერეთლისა

გამოცემული ე. ხელაძისაგან.

ფასი ერთი აბაზი

ისყიდება უფ. ხელაძის სტამბაში და თფილისის წიგნის მაღაზიებში. ქალაქ გარეთ: გორში—მღ. ტურიაშვილთან, ქუთაისს—ხვ. ჩოლახიძესთან, ოზურგეთს—უ. ანტ. ჯაყელთან, ფოთს—უ. ელისბარ ბაბალოვთან, თელავს—ილია ზარაფოვთან.

(5—1)

ქუთაისში, ლუზერნის სტამბაში ისყიდება გერ. ქალანდარაშვილისაგან შედგენილი წიგნი:—**რუსული ენის დასაწყისი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის.** გამოცემა მეხუთე, ხელ-ახლად გასწორებული და შემოკლებული. ფასი სამი აბაზი.

**ანგარიში**

ნაფარეულის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა
აპრილის 20-დგან ოკტომბრის 1-მდე 1876 წლისა

| | მან. | კაპ. | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული 19 წევრისა . . | 46 | 40 | გასესხებული . . . . . | 45 | — |
| წმინდა მოგება . . . . . . | 2 | 50 | დარჩა ნაღდ ფულათ. . . | 3 | 90 |
| ჯამი . . | 48 | 90 | ჯამი . . | 48 | 90 |

აპრილის 20 გან ოკტომბრის 1-მდე 1876 წლისა:

| შემოსავალი: | მან. | კაპ. | გასავალი | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული . . . . . . . | 142 | 80 | გასესხებული. . . . . . | 146 | — |
| სარგებელი დაჭერილი გასესხებას და ახალი ვადის მიცემის დროს | 8 | 76 | სამმართველოს ხარჯი . . . | 2 | — |
| | | | სხვა და სხვა გასავალი. . . | 1 | 12 |
| ჯამი . . | 151 | 56 | ჯამი . . | 149 | 12 |

ოკტომბრის 1-ს 1876 წელს არის:

| | მან. | კაპ. | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული 42 წევრის . . | 150 | 80 | გასესხებული . . . . . . . | 146 | — |
| მოგება . . . . . . . . . | 8 | 76 | ზიანი . . . . . . . . . | 3 | 12 |
| | | | დარჩენილია ნაღდ ფულად. | 10 | 44 |
| ჯამი . . | 159 | 56 | ჯამი . . | 159 | 56 |

გამგებელნი: ს. წერეთელი, მ. სესიოვი, ვ. გოდაბრელიძე.

# საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად
რის ზუტმანი, ქიმიკოსი პეტიტამ,

**იმპერატორის სასახლის მეიჯარადმ**

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სასახლეებისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკალების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ქინქლის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.



1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონებისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მივიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

**გამომგონი პასუხს აგებს.**

**ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.**



**პრეის-კურანტი:**

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარამოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ქინქლისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დაზეთებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.



**უმთავრესი დეპო**ს თფილისში, დვორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სეგალოთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; სტავროპოლში—კურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. **აქვე ისყიდება თმის საღებავი.** 54—31

**კავკასიის საგებიო ინსტიტუტი სამშობიარო ლოშპიტლით**

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ლოშპიტალში არის ცალკე (სადედმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველ-დღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 საათიდამ $9^{1}/_{2}$-მდი დოქტორი არტემიევი და $9^{1}/_{2}$-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და კაპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესიდამ:
ფოთისკენ—ორშაბ. ნაშუადღ. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ. და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაბ. და შაბ. ყაზახს—სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 25 სექტ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^{1}/_{2}$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $331^{1}/_{2}$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 25 |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 197 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 193 | 25 |
| ბირჟის ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 90 | — |
| ხერსონის ბანკის ($5^{1}/_{2}$) | 88 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 91 | 25 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 164 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| მაიზლერის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკასიის და მერკური. . | 208 | 50 |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 732 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 260 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 2 ოკტომ. | | |
| პური მორავალის ფთ. | 1 | — |
| ქერი ფუთი. . . . | — | 65 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 5 | 60 |
| ბაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | — |
| — თარაქამისა ფთ. . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 50 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 6 | 25 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 5 | 90 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 18 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | 20 |
| ოქრო $^{1}/_{2}$ იმპერიალი. . | 6 | 40 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Октября 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი